# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 255. ხუთშაბათი, 23 სექტემბერი 1904 წ. გაზეთის № 2619.

# გასაღები ბალახი

მოთხრობა ი. ქ. გეშოვისა

ქვეყანა დაბერებული იყო, მე-კი ახალგაზდა ვიყავი. მეუბნებოდნენ, გული ისე 'შეგრთავს ცოლს, რომ თავს არ დაეკითხებაო, მაგრამ არა მჯეროდა. მე ახალგაზდა ვიყავ, ქვეყანა კი დაბერებული...

მე ახალგაზდა ვიყავ, ნასწავლი და ამასთანავე ღარიბი. ამიტომ ვვოცნებობდი, რომ მდიდარსა და განათლებულს ცოლს შევირთავდი.

ჩემი მომავალი ცოლი ოცნებაში წარმოდგენილი მყავდა მდიდრად და განათლებულად. მაგრამ მე რომ ამნაირს ოცნებაში ვიყავ გართული, ამავე დროს ჩემი თვალები ყოველდღე ჰხედავდა ნახშირსავით შავს თვალებსა და ალუბალსავით წითელს ტუჩებს. როდესაც ამ მშვენიერ თვალებისა და ლოყების პატრონს ჩემთან რაიმე სიტყვას გადაუკრავდნენ, ის გახურებულ თონესავით გაწითლდებოდა, ცალის თვალით შემომხედავდა და გამიღიმებდა ხოლმე.

ღმერთო ჩემო, რაები არ მემართებოდა მაშინ! რა ცეცხლის ალ-მული ამდიოდა პირისახეზე და რას არა ჰგრძნობდა ჩემი გული!

მაგრამ მე ჯერ არ გამიმხელია თქვენთვის, ვინ იყო ამ საუცხოვო ედემის პატრონი.

ეს მომხიბლავი თვალები, ეს საუცხოვო ტუჩები და ათასნაირი სხვა ამისთანა მიმზიდავი მაგნიტები ეკუთვნოდა ერთს მშვენიერს სოფლელს გასათხოვარს ქალს—ნინოს. ნინო უბრალო ღარიბ გლეხის ქალი იყო. იმისი სიმდიდრე—სილამაზე იყო, იმისი სწავლა-განათლება—გულკეთილობა.

ნინო გულკეთილი იყო და თვალ-წარმტაცის სილამაზის პატრონი. რაღაც უხილავის ძალით თავისკენ მიზიდავდა და ამიტომ მეც ძლიერ ვსცდილობდი მასთან შეხვედრას მინდორში, მისის სოფლის მახლობლად, სადაც ხშირად მომიხდებოდა ხოლმე ყოფნა ჩემის ხელობის გამო.

მინდორი მოზრდილი იყო და გვერდზე პატარა მდინარე ჩაუდიოდა. ეს მდინარე მახლობელ ტყის ძირიდგან გამოდიოდა. წყლის ზემოდ, გაკაფულს ტყეში, ისეთი საუცხოვოდ აბიბინებული ნორჩი ჯეჯილი იყო, რომ ავს თვალს არ ენახებოდა. შიგა და შიგ შავად სჩანდა ახლად დახნულ მიწის ნაჭრები. შორს მოსჩანდა სტარაია პლანინას ამწვანებული მთები. როდესაც დილის მზის სხივები დაანათებდა ამ ბუნების სიმშვენიერეს, ცვარისაგან დანამული ბალახი ზურმუხტივით ბრჭყვიალს დაიწყებდა. მდინარიდან გრილი ნიავი უბერავდა. წყლის ნაპირებზე მწვანედ ბიბინებდა ნაზი იონჯა, რომლიდანაც აქა-იქ ჭრელად გამოიყურებოდა სამყურა ბალახის აყვავებული პატარა ტოტები... აქ გაისმოდა ტოროლას სტვენა; იქ, ცოტა მოშორებით, ბალახში მიმალულის მწყერის ხან-გამოშვებითი ჭუკჭუკი. ხან-და-ხან მაღლა ჰაერში ერთიდან მეორე ადგილას დიდის სიმარდით გადაფრინდებოდა ხოლმე მწყრების მტერი შევარდენი, ხან კიდევ მძიმედ დაზოზინობდა ყორანი. ისეთი ტკბილ-სუნნელოვანი ჰაერი იყო, რომ ადამის ძე უკეთესს ძნელად თუ ინატრებდა რასმე, თუ მეტის-მეტად ხარბი და გაუმაძღარი არ იყო. ყველაფერს სიცოცხლე ეტყობოდა, ყოველივე სიყვარულს დაჰგალობდა. მახლობელ ხეზე შემომჯდარიყო ხმა-ტკბილი ბულბული და იწვევდა თავისთან მეგობარს. სადღაც შორს ჭაბუკი მწყემსი სალამურს აკვნესებდა და ზედ დაჰგალობდა თავის სატრფოს სიმღერას.

ასე მშვენივრად იყო მორთული ბუნება ყვავილების სუნნელებითა და ფრინველების გალობა-ჭიკჭიკით, როდესაც პირველად შევხვდი ნინოს. მეც სწორედ ამისთანა გარემოებაში მინდოდა იმასთან შეხვედრა და ეს ხშირადაც ჰხდებოდა, რადგან, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ჩემის ხელობის გამო ხშირად მიხდებოდა იმის სოფელში ყოფნა.

შევხვდებოდი ნინოს თუ არა, უსათუოდ ამა თუ იმ საგანზე უნდა მელაყბნა; იმის შერთვაზე კი სრულიად არა ვფიქრობდი, რადგან წარმოდგენილი მქონდა,—ჩემი მომავალი ცოლი უსათუოდ მდიდარი და განათლებული უნდა ყოფილიყო!..

ერთხელ როგორღაც მოულოდნელად შევხვდი ნინოს ხსენებულს მინდორში. მე ფეხს მოვუჩქარე, მინდოდა წინ



გენერალი კუროპატკინი და მანჯურიის უფროსები.

დავხვედროდი. დავუხარე თავი, სალამი მივეც და გავყევი თან. გზაში ჩამოვუგდე ლაპარაკი ამ მთისა და იმ ბარისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფიცრები აღმოსავლეთ-ციმბირის მე-6 ბატარეისა.

რა ვიცი, მე მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასე იყო, მაგრამ, ცხადად ვამჩნევდი, რომ ამ ჟამად მზე წინანდელზე უფრო ბრწყინვალედ ანათებდა, ფრინველებიც უფრო ხმა-ტკბილად ჰგალობდნენ და ყვავილებიც წინანდელზე უფრო სასიამოვნო სურნელებას ავრცელებდნენ ჰაერში: თითქოს ბუნება დიდს დღეობას დღესასწაულობდა.

ბუნების დღესასწაული ნინოს დღესასწაულიც იყო. ხომ ბევრჯერ შევხვედრივარ და ისეთი მშვენიერი, მომხიბლავი და მხიარული არასოდეს არ მინახავს, როგორც მაშინ იყო...

ღმერთო ჩემო, რამდენჯერ უნდა დავიწყო ნინოს სიმშვენიერეზე ლაპარაკი! მაგრამ განა შემიძლიან იმის უამისოდ ხსენება?!

ნინო ისეთი კარგი, მხიარული და თვალწარმტაცი რამ იყო, რომ ჩემი აზრი მდიდარ და ნასწავლ ცოლის შერთვის შესახებ ჩამეფუშა და ჩემს თავს უნებლიედ დავეკითხე: „რისთვის ჰხდება, რომ ჩვენ, მამაკაცები, ვეძებთ მდიდარსა და განათლებულს საცოლოს? განა საკმაო არ არის ჩვენთვის მარტო სილამაზე?“

ეს აზრი თავიდან არა მშორდებოდა და წამ-და-უწუმ ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ჰო და, განა საკმაო არ არის ჩვენთვის მარტო სილამაზე?“

ნინო გაჩერდა, უცბად დაიხარა და მოსწყვიტა რაღაც ყვავილის ტოტი.

— რა არის ეგა, ნინკე?—ვკითხე და შევხედე.

ნინო გაწითლდა.

— ეს სამყურაა... მე მეგონა, მეოთხე ყურიცა ჰქონდა... თუ სამყურას ოთხი ფოთოლი აქვს, იმას **გასაღები ბალახი** ჰქვიან. მეც იმიტომ მოვსწყვიტე, მაგრამ შევსცდი: აქ სულ სამი ყურია.

სთქვა ეს წყნარად და უფრო გაწითლდა.

— რად გინდა მერე გასაღები ბალახი?—შევეკითხე.

— იქნება სადმე განძი ვიპოვნო!—მიპასუხა იმან.

— მარტო განძისთვის გინდა მერე გასაღები ბალახი?—ვკითხე კვლავ:—თუ სხვა რამისთვისაც გამოდგება?

— გასაღები ბალახი დაკეტილს კარებს აღებს!—მიპასუხა ნინომ.

— ნინკე, როგორა გგონია, დაკეტილს გულს კი ვერ გააღებს გასაღები ბალახი?—ვკითხე ცოტა დარცხვენით.

ნინომ პასუხი არ მომცა.

— გამიგონია,—განვაგრძე მე,—რომ გასაღები ბალახი დახშულს გულსაც აღებს.

— მართლა?—მკითხა იმან.

მკითხა, მაგრამ ვაი იმ კითხვას! შერცხვა თვისის კითხვისა და უფრო გაწითლდა. სირცხვილის ოფლში გაიწურა, შემეცოდა, დამნანდა და ჩემს თავს ვუსაყვედურე იმის გამო, რომ საცოდავი ქალი ასეთს მდგომარეობაში ჩავაყენე.

ორივენი დავჩუმდით და ისევ განვაგრძეთ გზა. ნინო ყურადღებით იხედებოდა ძირს და ვატყობდი, რომ რაღაზედაც ჰფიქრობდა. უკანასკნელის საუბრის შემდეგ ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედნია და იმისი ხმა ხომ არ გამიგონია და არა! მისი თვალები თითქო მიწაზე იყო მიკრული და იქ რაღაცას დაეძებდა. ნინომ ერთბაშად რაღაც წერტილს დააშტერა თვალები, შედგა და ხელ-ახლად დაიხარა.

დაიხარა, მოსწყვიტა რაღაც ყვავილის ტოტი და ისევ წელში გასწორდა... მზე ჰბრწყინავდა, ფრინველები ჰგალობდნენ და ყვავილების სასიამოვნო სუნნელება მთელს იმ მიდამოს ედემს ამსგავსებდა; მაგრამ მშვენიერი და ტანადი ნინო მე ამ ჟამად მზის სხივებზე უფრო კეკლუცად მეჩვენებოდა. მისი ხმა—ბულბულისა და იადონის ტკბილს გალობაზე უკეთესად მესმოდა და სილამაზით ხომ ყველა ყვავილებზე ულამაზესი იყო. ლოყები ვაშლსავითა ჰქონდა გაწითლებული; იმისი მკერდი ზევით ამოწეული იყო.. .ნინოს თვალებიდან ორი ანკარა ცრემლი წამოსცვივდა, შემომხედა და დარცხვენილის ხმით მითხრა:

— მგონი ეხლა კი ვიპოვნე გასაღები ბალახი!..

და მაჩვენა სამყურა, რომელზედაც, ჩვეულებრივ სამ ფურცელს გარდა, შუაში მეოთხე ფურცელიც იყო, ისეთივე პატარა და კოხტა, როგორც იმის ლოყაზე ორი პატარა ხალი... შემომხედა გამარჯვებულის თვალით, წარმოსდგა გაბედულად ჩემსკენ ნაბიჯი და დამადვა გულზე გასაღები ბალახი.

მე გამახსენდა რამდენისამე წუთის წინად ჩემგან წარმოთქმული სიტყვები—„გასაღები ბალახი დახშულს გულსაც აღებს მეთქი“, და დავაცქერდი ნინოს.

ნინო ტიროდა. აშკარად ვამჩნევდი, რომ ეს ტირილი—სიხარულის ტირილი იყო. ნინოს თვალებმა, ამ ცრემლებმა



მცურავი ნაღმები
მდინარე ლიაოხედან ამოღებული იაპონელთა მიერ.

და ამ ცხადმა მისმა ჩემდამი სიყვარულმა, ყველა ამან დამამარცხა. დამამარცხა, მაგრამ გამაბედნიერა კი! დამავიწყდა




სათადარიგო რაზმი რუსის ჯარისა ბრძოლის ველზე.

სიმდიდრესა და განათლებაზე ფიქრი და მაშინვე ფიცი დავსდე, რომ ნინო ჩემი უნდა გამხდარიყო და არ მეღალატნა იმისთვის.

მეც მტკიცედ დავიცავი ფიცი და ეხლა ნინო ჩემია!

ჩვენ ჯვარი დავიწერეთ და ეხლა ბედნიერები ვართ. ვერა ქარიშხალი ჩვენს მზეს ვერ დააბნელებს და ვერც ერთი გველი ჩვენს წილს სამოთხეს ვერ მოსწამლავს. მე ეხლა მდიდარისა და განათლებულის ცოლის შერთვაზე სულ არ ვოცნებობდი და არც ჩემი ნინო ეძებს მას აქეთ გასაღებ ბალახს განძის საპოვნელად. ის ჩემი უძვირფასესი განძია და მეც იმისი. ჩვენ ყველაფერში ვეთანხმებით ერთმანერთს, გარდა ერთისა: ნინოსა ჰგონია, რომ ჩემი გული გასაღებმა ბალახმა გაალო, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი გული გაალო იმისმა თვალებმა, იმისმა უმანკო ცრემლებმა და იმისმა ჩემდამი გულწრფელმა სიყვარულმა.

მე ჯერ ახალგაზდა ვარ, ქვეყანა კი ძველებურად ისევ დაბერებულია, მოხუცი.

მაგრამ მე ეხლა მჯერა, რომ ხშირად გული ისე შერთავს კაცს ცოლს, რომ თავს არ დაეკითხება.

ისიცა მჯერა, რომ გული ძალიან კარგად იქცევა, როცა ხანდახან თავს არ ეკითხება. მხოლოდ ის კი არ ვიცი, რას ჰფიქრობს ამის შესახებ ქვეყანა.

შესაძლებელია, ქვეყანა არ დამეთანხმოს ამაზე. ვინ იცის?! ჩვენს ხნოვანებაში, ხომ ჰხედავთ, დიდი საზღვარია: ის დიდი ხანია დაბერდა, მე კი ჯერაც ახალგაზდა ვარ...

დიმ. ჯაში.

## სხვა და სხვა ამბები

**კრუხობანა.** უცნაური ჩვეულება აქვს ზოგიერთ ხალხს. როცა ქალი მოილოგინებს, ქმარი ლოგინში ჩაწვება და ისე იქცევა, ვითომ მშობიარეა: კვნესის, ოხრავს, როგორც ნამდვილი მშობიარე ქალი. ნათესავები და მეზობლები მივლენ და მშვიდობით მოლოგინებას ულოცავენ. ეს ჩვეულება, სხვათა შორის, ჩინელთაცა აქვსთ და მის გამოხატულებას ზოგიერთ ჩინურ სურათებზედაცა ვპოვებთ.

**

**დაბადებულთა რიცხვის კლება ინგლისში.** როგორც ახლახან გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობებიდანა სჩანს, დაბადებულთა რიცხვი ინგლისის დედა-ქალაქ ლონდონში წინა წლებთან შედარებით ჰკლებულობს. ეს ქალაქი იმავ თვითვე საცხოვრებლად ყველაზე უფრო მრთელ ქალაქად ითვლებოდა ევროპის დიდ ქალაქებთა შორის. ეხლა, როგორც სჩანს, შეუძლებელია მხოლოდ სანიტარულ პირობებს მივაწეროთ დაბადებულთა რიცხვის პროგრესიული კლება, რასაც ამ უკანასკნელ წლებში ვხედავთ. გადაცვალებულთა რიცხვი კი 1902 წ. უდრიდა ყოველ ათას კაცზე 17,2; წინა წელს კი ყოველ ათას სულზე ამაზე მეტი გადაიცვალა. დაბადებულთა რიცხვი კი სულ კლებულობს. მაგ. 1867 წ. ყოველ ათას სულზე იბადებოდა 36,55, ხოლო 1902 წელს ეს რიცხვი ყოველ ათასზე 28,5-ზე ჩამოვიდა. ეს ჯამი ნაკლებია ყველა ჯამებზე, რომელნიც ლონდონში წინა წლებში იყვნენ აღნიშნულნი. შესაძლებელია, რომ ეს რიცხვი დაბადებულთა დაუტოლდეს საფრანგეთისას, სადაც ყოველ ათას სულზე ყოველ წლიურად 23,7 სული იბადება.

**

**ახალი მოდა ადრესის წერისა საფრანგეთში.** ყოველგვარი მოდა პარიზში უნდა დაიბადოს. ასე ყოფილა დაბადებითვე! აი ახლაც ახალი მოდა შემოიღეს ადრესების წერისა. აქამდე როცა კონვერტზე ადრესის დაწერა უნდოდათ, ჯერ დასწერდნენ სახელსა და გვარს, ვისაც წერილს უგზავნიდნენ, მერე მოჰყვებოდა სახელი და ნომერი ქუჩისა, ბოლოს სახელი ქალაქისა, მაზრისა და სახელმწიფოსი. ეს წესი ადრესის წერისა უკუაგდეს. ეხლა ვისაც სურს „შიკურად“ დასწეროს მისამართი, სულ უკუღმა იქცევა. ჯერა სწერს ქალაქის სახელს, მერე ქუჩისას და სულ ბოლოს წერილის პატრონისას. მაგალითად, გნებავთ, წერილი მისწეროთ ტფილისში ტარიელ ლოთაძეს, რომელიც ავჭალის ქუჩაზე სცხოვრობს. უნდა დასწეროთ: ტფილისი, ავჭალის ქუჩა № 175, ბატონს ტარიელ ლოთაძეს. უკანასკნელი პარიზული „შიკი“ ეს გახლავსთ.

**

**უძველესი გაზეთი ევროპაში.** ქალაქ ბრესლავში (გერმანია) 1629 წელს გამოდიოდა დროგამოშვებითი გამოცემა. ეს ქალაქი მეტადრე იყო აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქთა შორის, სადაც ახალ ამბავთა ორგანო გამოდიოდა. სილეზიაში (გერმანიაშივე) 1752 წელს იწყო გამოსვლა ეგრედ წოდებულმა „სილეზიის გაზეთმა“. ამ ორგანომ ამ ორის წლის წინად თავის არსებობის 150 წლის თავი იდღესასწაულა და, როგორც ეტყობა, სიცოცხლე ჯერ არ მობეზრებია. საფრანგეთში ორი ორგანოდაა — „მეცნიერთა გაზეთი“ და „საფრანგეთის გაზეთი“, რომელთაც შეუძლიათ თავისის ხნიერობით სილეზიის თანამოძმეს დაეტოლონ.




რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი